

შ.პ.ს.
აუდიტორიული ფირმა
„გაბი აუდიტი“



LTD
“GABI AUDITI”

4400, ფოთი, 26 მაისის ქ №4
ტელ: (0493) 22 24 12

ს/6 215090452 ანგ/NGE79BG0000000121569100
საქართველოს ბანკის კოდი: BAGAGE22 ფოთის
ცენტრალური ფილიალი №38, კოდი 22010150

№ _____

2016 წ

აუდიტის დასკვნა

სსიპ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული
131,50 კვმ არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი
№27.06.56.099) საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასების აუდიტორული დასკვნა მომზადებულია შ.პ.ს „გაბი-აუდიტი“-ს მიერ, ლიცენზია აუდიტორულ საქმიანობაზე ზ. №138 გაცემულია 2000 წლის 10 თებერვალს. სერთიფიკატი ზ. №5/442 გაცემულია 2010 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ. სსიპ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის მომართვის საფუძველზე განხორციელდა იჯარით გასაცემი არასაცხოვრებელი ფართის შეფასება 2016 წლის მდგომარეობით

ლანჩხუთი ჟორდანია ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 6096.00 კვმ წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას

საჯარო სკოლის მიერ იჯარით გასაცემი ფართი წარმოადგენს ცალკე მდგარ ნაგებობას რომლის ფართობია 35 კვმ. აღნიშნული ფართის საწყისი საბალანსო ღირებულება შეადგენს 1017 ლარს, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულება 919 ლარს. ცალკე მდგარი 35კვმ შენობის წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი შეადგენს 6096 კვმ.

ე.ი ცალკე მდგარი შენობის ერთი კვმ არასაცხოვრებელი ფართის საბალანსო ღირებულება $1017:35=29$ ლარს, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულება $919:35=26$ ლარი.გამომდინარე აქედან საჯარო სკოლის მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე იჯარით გასაცემი არასაცხოვრებელი ფართის ღირებულება შეადგენს:

იჯარით გასაცემი ფართი შეადგენს 35 კვმ წილობრივად დამაგრებული არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი $6096((35/35)=6036$ კვმ ფართის საბალანსო ღირებულება ტოლია $(35 \times 29)=1015$ ლარი ფართის ნარჩენი საბალანსო ღირებულება $(35 \times 26)=910$ ლარი წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის ღირებულება ფოთის მუნიციპალიტეტის დადგენილებით შეადგენს $35 \times 47=1645$ ლარს.

სულ გასაქირავებელი ფართის (35კვმ) ღირებულება შეადგენს $910+1645=2555$ ლარს.

ჩატარებული სამუშაოები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ; 35 კვმ იჯარით გასაცემი ფართის ღირებულება შეადგენს 2555 ლარს.

გასაქირავებელი არასაცხოვრებელი ფართის წლიური საიჯარო ქირა, კომუნალური გადასახადების ჩათვლით „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების მეხუთე მუხლის“ საფუძველზე უნდა განისაზღვროს ქონების საპრივატიზაციო ღირებულების არანაკლებ 5% -ისა. ე.ი $2555 \times 0.05=128$ ლარი წლიური. თვიური კი არანაკლებ 11 ლარისა.